საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 15 დეკემბრის
დადგენილება № 370

„პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის
წარჩინებულ სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში
სტუ-ს 2010–2011 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრისა
და დეკემბრისათვის პრეზიდენტის სტიპენდიანტებად
ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთა შერჩევის
წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 დეკემბრის N954 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისთვის 2010 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში გამოყოფილი პრეზიდენტის 194 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან (დანართი 1), 2010 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით (დანართი 2);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს გასული სემესტრის შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისიები, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:
   _ პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 90%-ზე მეტს;
   _ პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში, თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები. ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის, საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები;
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე, გამოიცეს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

დანართი 1

2010–2011 სასწავლო წლის (ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის) პრეზიდენტის სტიპენდიების განაწილება ფაკულტეტების მიხედვით

ფაკულტეტი	ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტი	კონტინგენტის პროცენტული წილი, %	პრეზიდენტის სტიპენდიანტების რაოდენობა
სამშენებლო	513	8,19	16
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის	734	11,73	23
სამთო-გეოლოგიური	262	4,19	8
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის	535	8,56	17
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის	799	12,77	24
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის	164	2,62	5
ჰუმანიტარულ-ტექნიკური	1891	30,23	59
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების	1359	21,71	42
სულ	6257	100	194

დანართი 2

სტუდენტთა კონტინგენტი 2010–2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში (2010 წლის 13 ოქტომბრის მონაცემებით)

ფაკულტეტი	ბაკალავრიატი			ჯამი
	სწავლების წელი			
	II	III	IV	
სამშენებლო	345	143	25	513
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის	472	229	33	734
სამთო-გეოლოგიური	164	95	3	262
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის	333	164	38	535
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის	488	275	36	799
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის	80	47	37	164
ჰუმანიტარულ-ტექნიკური	907	683	301	1891
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების	800	419	140	1359
სულ	3589	2055	613	6257

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**